ილიას სახელმწიფოუნივერსიტეტის

**აკადემიური საბჭოს №15**

**სხდომის დღის წესრიგი**

**2016 წლის 26 თებერვალიქ. თბილისი**

1. ახალი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განხილვა და დამტკიცება, კერძოდ: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები:**საერთაშორისო ურთიერთობები - ევროპა და ახლო აღმოსავლეთი (ძირითადი სპეციალობა); საერთაშორისო ურთიერთობები (დამატებითი სპეციალობა)** *ინგლისურ ენაზე;* **მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა.** სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლოპროგრამები:**რელიგიის კვლევები; საზოგადოებრივი ურთიერთობები;კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების თერაპია;** საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტის საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამები:**კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)** *ინგლისურ ენაზე;* **კომპიუტერული ინჟინერია (ძირითადი სპეციალობა)** *ქართულ ენაზე.* სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა; **მინერალური რესურსებისა და ენერგეტიკის მართვა და მდგრადი განვითარება;**ბიზნესის სკოლის საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა:**ბიზნესის ადმინისტრირება (მენეჯმენტი, ტურიზმი) (ძირითადი სპეციალობები)** *ინგლისურ ენაზე;* **კულტურის მენეჯმენტი (ძირითადი სპეციალობა)**;სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა:**კულტურის მენეჯმენტი;**სამართლის სკოლის სამაგისტრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა:**საჯარო სამართალი და პოლიტიკა.**
2. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასერტიფიკატო პროგრამის ,,ბუნებისმეტყველების კვლევაზე დაფუძნებული სწავლების განხილვა და დამტკიცება;
3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ხელოვნების ინტერდისციპლინარული სადოქტორო პროგრამის განათლების მიმართულების დოქტორანტის, ნათია ვაჩეიშვილის სადისერტაციო თემის „თანამშრომლობა სასწავლო პროცესში, როგორც დემოკრატიული ცნობიერების (ურთიერთდამოკიდებულება, პასუხისმგებლობა და თვითშეფასება) ამაღლების ერთ-ერთი საშუალება“ (სამეცნიერო ხელმძღვანელი - პროფესორი დავით მალაზონია) დაცვისათვის რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და დამტკიცების საკითხის განხილვა;

4. საბუნებისმეტყველო და საინჟინრო ფაკულტეტის ბიოლოგიის დარგობრივი კომისიის შუამდგომლობის განხილვა ამავე ფაკულტეტის სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებების მოლეკულური ბიოტექნოლოგიისა და ბიოქიმის მიმართულების დოქტორანტის, სოფიკო ყორიაულის სადისერტაციო თემის „IL - 10 და მეტაბოტროპული გლუტამატის რეცეპტორის ურთიერთქმედების ზოგიერთი მექანიზმი“ (ხელმძღვანელები: პროფესორი დავით მიქელაძე და ასოცირებული პროფესორი თამარ ზარზაქაძე) დაცვისთვის რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს შექმნისა და დამტკიცების საკითხის განხილვა;
5. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და საინჟინრო ფაკულტეტზე აკადემიური კონკურსის გამოცხადების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღებაშემდეგ მიმართულებებზე: ფიზიკის მიმართულებით ასოცირებულიპროფესორისაკადემიურთანამდებობაზედაასტროფიზიკა-ასტრონომიისმიმართულებითასოცირებულიპროფესორისაკადემიურთანამდებობაზე;
6. ბიზნესის სკოლის პროფესორის, თენგიზ ვერულავას წიგნის „ჯანდაცვის პოლიტიკა“ უნივერსიტეტის გამომცემლობაში გამოცემისა და უნივერსიტეტის ლოგოს მინიჭების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
7. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის ირმა ყარაულაშვილისათვის ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინების გამო ხელფასის 40%-ის შენარჩუნების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
8. ბიზნესის სკოლასთან არსებული ალპური კლუბის გაუქმების საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;
9. რექტორის 2016 წლის N07-02 ბრძანებით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ეკონომიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული აკადემიური კონკურსის განაცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება (შემოსულია ანდრო რურუასა და აიდა ქიტიაშვილი-კვაჭანტირაძის განაცხადები);
10. რექტორის 2016 წლის N09-02 ბრძანებით მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებით პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული აკადემიური კონკურსის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება(შემოსულია პაატა ჩხეიძის განაცხადი);
11. რექტორის 2016 წლის N08-02 ბრძანებით სამართლის სკოლაში სისხლის სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე გამოცხადებული აკადემიური კონკურსის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება(შემოზულა ზაზა მეიშვილის განაცხადი);
12. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსის, მარი ბურდულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, მისი ფინანსური დახმარების შესახებ საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

13. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესორის, ქეთევან ჯაშის დისციპლინური გადაცდომის შედეგად დაწყებული საქმისწარმოების მასალების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;